



ბოლნისის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური სოციალური სერვისების მონაწილეობითი
დაგეგმვის მიდგომის დანერგვის ხელშეწყობის მიზნით
სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევის

ანგარიში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია

2023

შესავალი

2023 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას - „ათეას“ (NALAG) შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სოციალური დაცვის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, ჩეხეთის განვითარების სააგენტო საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციასთან თანამშრომლობით ახორციელებს ახალ ინიციატივას „სოციალური სერვისების მონაწილეობითი დაგეგმვის დანერგვა საქართველოს სამ მუნიციპალიტეტში ახალციხის დუშეთის და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში“.

პროექტი „სოციალური პროგრამების მონაწილეობითი დაგეგმვის მიდგომის დანერგვა“ დაეხმარება მუნიციპალიტეტებს მუნიციპალური სოციალური პროგრამებისთვის სამიზნე ჯგუფების იდენტიფიცირებაში, საჭიროებების გამოვლენასა და ადგილობრივი თემის ჩართულობით პროგრამის დაგეგმვაში.

პროექტის პირველ ეტაპს წარმოადგენს სოციალური საჭიროებების კვლევის შეთანხმებული მეთოდოლოგიის და ინსტრუმენტების გამოყენებით ჩატარება.

მემორანდუმით აღებული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულმა ასოციაციამ „ათეა“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს გაუზიარა ადგილობრივ დონეზე სოციალური პოლიტიკისა და სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებათა კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები და ჩაატარა შესაბამისი ტრენინგები. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 26 ივლისის ბრძანების საფუძველზე შეიქმნა „ბოლნისის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების საჭიროებათა კვლევის სამუშაო ჯგუფი“.

სამუშაო ჯგუფი დაკომპლექტდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებისაგან. სამუშაო ჯგუფს დაევალა ადგილობრივი სოციალური პოლიტიკის და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების საჭიროებათა კვლევის ჩატარება, ათეას მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის გამოყენებით. საჭიროებათა კვლევის ჩასატარებლად დამტკიცდა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის - „ათეა“-ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი და ინსტრუმენტები. სამუშაო ჯგუფს, საჭიროებათა კვლევის ანგარიშის წარდგენის ვადად განესაზღვრა 2023 წლის 10 სექტემბერი.

მუნიციპალიტეტის აღწერა

ბოლნისის მუნიციპალიტეტი ქვემო ქართლის რეგიონის თვითმმართველ ერთეულს წარმოადგენს, რომელიც რეგიონის ცენტრალურ ნაწილშია განთავსებული. მას აღმოსავლეთით მარნეულის, დასავლეთით - დმანისის, ჩრდილოეთით - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტები საზღვრავს, სამხრეთით კი სომხეთის რესპუბლიკა ესაზღვრება.

2014 წლის მონაცემებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 53 590 კაცს. მოსახლეობის სიმჭიდროვეა 98 კაცი კვ. კმ-ზე, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს (67 კაცი/კვ.კმ) საკმაოდ აღემატება. მუნიციპალიტეტში 49 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქია. ქალაქის მოსახლეობა შეადგენს 12 700 ადამიანს. ბოლნისის მუნიციპალიტეტის გამოირჩევა ეთნიკური მრავალფეროვნებით. მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 16 565 - ქართველი, 33 964-ეთნიკურად აზერბაიჯანელი, 2 690 - სომეხი, 135-რუსი, 28-ოსი, 1-იეზიდი, 41- უკრაინელი, 125-ბერძენი, 1-ასირიელი და 35 სხვა მოქალაქე.

მუნიციპალიტეტის ძირითად შემოსავლებს უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობა, მრეწველობა (დაბა კაზრეთში არსებული მადნეულის საწარმო „RMG GOLD“, ღვინის ქარხანა), მცირე მეწარმეობა (ვაჭრობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება) და საჯარო სამსახურები. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ადგილობრივი შემოსავლებითა და გამოთანაბრებითი ტრანსფერით ივსება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს მოსახლეობის სოციალური საჭიროებების ხემსაწვდომი სერვისებით უზრუნველყოფა წარმოადგენს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და შემმუშავებულთა საჭიროებაზე მორგებული არაერთი სოციალური დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური პროგრამები, როგორცაა: 1. ქრონიკული დაავადებებით დაავადებული ბენეფიციარების მედიკამენტებით უზრუნველყოფა; 2. შშმ პირების დახმარებები. 3. ააიპ სათნოების სახლი; 4. სოციალურად დაუცველი ერთ წლამდე ბავშვების ყოველთვიურად კვებით უზრუნველყოფა; 5. შშმ ბავშვების ლოგოპედის მომსახურების უზრუნველყოფა; 6. „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბენეფიციარების მატერიალური დახმარება; 7. სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის სეზონზე მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა; 8. ბინის ქირით უზრუნველყოფა; 9. სოციალურ საცხოვრისებში მცხოვრები ბენეფიციარების კომუნალური გადასახადებით უზრუნველყოფა; 10. სტუდენტთა დახმარებები; 11. სამედიცინო უზრუნველყოფა; 12. ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპულთა და დაკარგულთა ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება; 13. ერთჯერადი მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა; 14. გარდაცვლილთა სარიტუალო მომსახურების უზრუნველსაყოფად მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა; 15. სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება; 16. ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა; 17.

მარტოხელა მშობლის ყოველთვიური მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა; 18. ხანდაზმულთა დღის ცენტრი; 19. შშმ პირთა დღის ცენტრი „განთიადი“.

მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტის მერია ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ არაერთ პროექტში.

კვლევის აღწერა

„ბავშვთა უფლებათა კოდექსის“, „სოციალური მუშაობის შესახებ“ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გაიზარდა მუნიციპალიტეტის, როგორც მოსახლეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ხელისუფლების ფუნქცია და როლი ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური დაცვის სფეროში. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა გახდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტორი სოციალური პოლიტიკის ერთიან ეროვნულ სისტემაში. საჭიროებაზე მორგებული დაგეგმვის მეთოდოლოგიური ინსტრუმენტების შემუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვის გარეშე, შეუძლებელი იქნება მუნიციპალიტეტებში ეფექტიანი და ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის გატარება. შესასრულებელი ამოცანების სწორად განსაზღვრისთვის აუცილებელია, რომ მუნიციპალიტეტის ფლობდეს სრულ, სანდო და გარკვეული პერიოდულობით განახლებად ინფორმაციას მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებათა შესახებ. სწორედ ასეთი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას იძლევა საჭიროებათა კვლევა. საჭიროებათა კვლევა არის მონაწილეობითი დაგეგმვის პროცესის ნაწილი, რომლის მიზანია მოწყვლადი ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის საჭიროებათა გამოვლენა და იგი წარმოადგენს მტკიცებულებებზე დამყარებული სოციალური პოლიტიკის საფუძველს. საჭიროებათა კვლევა უზრუნველყოფს ადგილობრივი სოციალური პოლიტიკისა და მუნიციპალური სოციალური პროგრამების დაგეგმვის მიზნით მოწყვლადი სამიზნე კატეგორიების საჭიროებათა გამოვლენას.

ასევე ჩართული ვართ ევროკავშირის ევროკავშირის მხარდაჭერილი პროექტის - "სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება ინკლუზიური და მწვანე პოსტ-კოვიდ აღდგენისთვის" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს CENN პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად და უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომლობას სოციალური სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებაში. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შექმნილია მრავალაქტორული სამუშაო ჯგუფი, რომელიც შედგება მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლებისგან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფის მიერ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს მიეცა რეკომენდაცია, რომ კვლევა ჩატარებულიყო შშმ ქალების, შშმ ბავშვების, ღარიბი ბავშვიანი ოჯახების, მარტოხელა მშობლის და სოციალურად დაუცველი მრანალშვილიანი ოჯახების საჭიროებებზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, საჭიროებათა კვლევის სამიზნე ჯგუფებს წარმოადგენენ:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები;
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები;
3. ღარიბი ბავშვიანი ოჯახები;
4. მარტოხელა მშობლები;
5. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები;

თავისი შინაარსით, საჭიროება არის მოწყვლადი სამიზნე ჯგუფის მდგომარეობასა და ცხოვრების ღირსეულ პირობებს შორის არსებული სხვაობა და საჭიროებათა კვლევის მიზანიც სწორედ აღნიშნული სხვაობის კონკრეტული კომპონენტების იდენტიფიცირებაში მდგომარეობს. საჭიროების კვლევისას ფოკუსირება მოხდა სამი ძირითადი სახეობის საჭიროებაზე:

- **გაცნობიერებული საჭიროება** (perceived/felt need) - ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, თემი, სერვისების მიმწოდებელი.
- **გამოთქმული/გამოხატული საჭიროება** (expressed need) - ინფორმაციის წყარო: მიზნობრივი ჯგუფი, სერვისის მიმწოდებელი, მუნიციპალიტეტის თანამშრომლები, სოციალურ საკითხებზე მომუშავე საჯარო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ღია წყაროებით გავრცელებული ინფორმაცია.
- **ნორმატიული საჭიროება** (normative need) – ინფორმაციის წყარო: სოციალური მომსახურების სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.

კვლევის მეთოდოლოგია

საჭიროებათა კვლევა ჩატარდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე. კვლევამ მოიცვა მუნიციპალიტეტის 48 დასახლება. სამუშაო პროცესში, გარდა სამუშაო ჯგუფის წევრებისა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის 15 წარმომადგენელმა და მათთან ასისტენტებმა. სამუშაო ჯგუფის მიერ მოხდა სამიზნე ჯგუფის წევრთა შესახებ მონაცემთა შეგროვება ადმინისტრაციული ერთეულების და მასში შემავალი დასახლებების მიხედვით. შეგროვებულ მონაცემთა აგრეგირება სტატისტიკურ ინფორმაციად ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე; ანკეტური გამოკითხვა რესპოდენტებთან და შევსებული ანკეტების დამუშავება და ანალიზი. აღნიშნული სამუშაო პროცესი წარმართა ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად, კეთილგანწყობილ, კომფორტულ და მშვიდ გარემოში. საჭიროებათა კვლევის პროცესში დაცული იყო კვლევის ეთიკური პრინციპები, მ.შ. : კვლევაში მონაწილეობის ნებაყოფილობა, კონფიდენციალურობა, ინფორმირებული თანხმობა, აზრის გამოხატვის თავისუფლება, კვლევის მონაწილეებისთვის მათი უფლებების გაცნობა, გენდერული ბალანსი და ეთნიკური უმცირესობების თანაბარი მონაწილეობა. ბავშვებთან კომუნიკაციის პროცესი იყო დაფუძნებული ბავშვის პატივისცემასა

და აზრის თავისუფალ გამოხატვაზე. გამოკითხვის პროცესში დაცული იყო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები, გათვალისწინებული იყო კვლევის ჩატარების ეთიკური პრინციპები და კვლევაში ბავშვების მონაწილეობის თავისებურებები.

საჭიროებათა კვლევისას, განახლდა მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენელთა მონაცემთა ბაზა. მუნიციპალიტეტის სოციალურ სამსახურში არსებული სტატისტიკური მონაცემებისა და მერის წარმომადგენლის მიერ შევსებული პირველადი აღრიცხვის ფორმების საფუძველზე საერთო მაჩვენებელმა შეადგინა ჯამში 650 ადამიანი. მ.შ.: 1. შშმ ქალი - 158; 2. შშმ ბავშვი - 105; 3. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი - 163; 4. მარტოხელა მშობელი - 36; 5. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახი - 188. ანკეტური გამოკითხვისას რესპოდენტების რაოდენობამ შეადგინა 55 მ.შ.: 1. შშმ ქალი - 11; 2. შშმ ბავშვი - 11; 3. ღარიბი ბავშვიანი ოჯახი-11; 4. მარტოხელა მშობელი - 11; 5. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახი - 11. საჭიროებათა კვლევის ჩატარებისას გამოყენებულ იქნა საქართველოს ადგილობრივ თვითმართველობათა ეროვნული ასოციაციის - „ათეა“ - ის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტი და კითხვარი.

ტერმინთა განმარტება

- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი** - პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;
- **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი** - 18 წლის ასაკამდე პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევებით, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში;
- **ღარიბი ოჯახი** - განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები პირი ან პირთა წრე, რომელიც ეწევა ერთობლივ შინასამეურნეო საქმიანობას და რომლის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებელი საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ დონეზე ნაკლებია.
- **სოციალურად დაუცველი პირი** - ფიზიკური პირი, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს დახმარებას ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. სოციალურად დაუცველ პირებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები;
- **მრავალშვილიანი ოჯახი** - ოჯახი 4 ან მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვით;

კვლევის ძირითადი მიგნებები და პრიორიტეტები

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები

გამოკითხულ შშმ ქალების 43% ჰყავს საკუთარი ოჯახი და იმყოფება ქორწინებაში, ხოლო 37% შშმ ქალი ცხოვრობს მშობლებთან/და-ძმასთან ერთად. მოწყვლად ზრდასრულ პირზე ზრუნავს კანონიერი წარმომადგენელი. 33,3% აქვს საშუალო პროფესიული განათლება, 66,7% - საშუალო. 10% კანონიერი წარმომადგენელი არის მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირი. 25% ოჯახი არ ფიქსირდება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში. ოჯახის წევრების 20% იმყოფება შრომით მიგრაციაში, 80% ოჯახში ასევე ცხოვრობს ხანდაზმული პირი. ბუნებრივი აირით და გათბობის სეზონზე საშემე მერქნით სარგებლობს 91%, ხოლო 9% მხოლოდ ელექტროენერგიით. 80% ოჯახს სასმელი წყალი მიყვანილი აქვს საცხოვრებელ ფართამდე, ხოლო 20 % ოჯახი სარგებლობს საერთო ონკანით. 63,6% ოჯახს სველი წერტილები განთავსებული აქვს საცხოვრებელ ფართში, 27,3% - ეზოში, საერთოდ არ აქვს - 18,2%. 22,2% შშმ ქალი სარგებლობს ინტერნეტის მომსახურებით, ხოლო 77,8% მათგანი არა. 20% შშმ ქალს არ აქვს ტელევიზორი, 20% - მობილური ტელეფონი, 10% - მაცივარი, 30%- სარეცხი მანქანა. 10% ოჯახს საშუალო ყოველთვიური შემოსავალი აქვს 250 ლარი, 30%- ოჯახს 250-500-მდე, ხოლო 60% ოჯახის ძირითადი შემოსავალს შშმ პენსია ან სოციალური შემწეობა წარმოადგენს. 20% შშმ ქალი ვერ უზრუნველყოფს შვილის საჭიროებების დაკმაყოფილებას.

85% შშმ ქალი ძირითად საჭიროებად ასახელებს: სრულფასოვანი კვებით, პირველადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებებით, პრევენციული სამედიცინო მომსახურებით/მედიკამენტებით, პირადი საჭიროების ნივთებით, სეზონური ტანსაცმლით, საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოფას, თავშეყრის ადგილებზე წვდომას, ადაპტირებულ ტრანსპორტს და დასაქმებას.

60% მიუძღვრთავს მუნიციპალიტეტის მერიისთვის დახმარებისთვის - დადებითი შედეგით. მუნიციპალიტეტთან ურთიერთობა ურჩევნიათ პირადი კომუნიკაციით, შეხვედრებით. საჭიროების შემთხვევაში იციან რომელ მუნიციპალურ სამსახურს უნდა მიმართონ.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

80% ბავშვი არის შშმ სტატუსის მქონე, 90,9% ბავშვს ჰყავს ორივე მშობელი, 9,1% - ს კი მხოლოდ დედა (მარტოხელა მშობელი - განქორწინებული). 100% ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი მშობელია (ძირითადი მზრუნველი). 90,9% ოჯახი იმყოფება კანონიერ ქორწინებაში, 9,1% განქორწინებულია. 9,1% ბავშვის მშობელი არის უმაღლესი განათლების მქონე, 9,1% - პროფესიული განათლებით, 18,2% - საშუალო განათლებით, 45,5% დაწყებითი განათლებით, 18,2% - დაწყებითი განათლების არმქონე. 9,1% ბავშვის მშობელი შშმ სტატუსის მქონეა. გამოკითხულთა 63,6 % ოჯახი ფიქსირდება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ ოჯახებთან ერთიან სიაში, ხოლო 36,4% ოჯახი არა. ბუნებრივი აირით და ზამთრის სეზონზე

საშეშე მერქნით სარგებლობს 90,9% ოჯახი, 9,1% ოჯახი კი მოიხმარს ელექტრო ენერგიას. 63,6% - ოჯახს საცხოვრებელ ფართში მიეწოდება სასმელი წყალი, ხოლო 36,4% ოჯახს არა. სველი წერტილი საცხოვრებელ ფართში და ეზოში (ერთდროულად) აქვს 36,4% ოჯახს, 63,7% კი მხოლოდ ეზოში. 90,9% ოჯახისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტით მომსახურეობა, 9,1% - ისთვის კი არა. ტელევიზორი და ტელეფონი აქვს ყველა ოჯახს, მაცივარი არ აქვს 18,2% ოჯახს, სარეცხი მანქანა არ აქვს 45,5% ოჯახს.

9,1% ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი 230-500 ლარამდე მერყეობს, 500-1000 მდე შემოსავალი 9,1% ოჯახს აქვს, ასევე 1000 ლაზე მეტ შემოსავალს ფლობს 9,1% ოჯახი, ხოლო დანარჩენი 72,8% ოჯახი დამოკიდებულია სოციალურ შემწეობაზე, შშმ-ს ან ხანდაზმულის პენსიაზე. 18,2% ოჯახი ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთს, რომელიც შეადგენს 1,2 ჰა-ზე ნაკლებს სადაც საშუალო შემოსავალი 1000 ლაზე ნაკლებს შეადგენს. შემოსავლის ნახევარზე მეტი ხმარდება ბავშვებისა და ოჯახის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას. ბავშვებს სრულფასოვანი საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფს მხოლოდ 9,1% ოჯახი, 81,8% - ნაწილობრივ, დანარჩენ 9,1% კი ვერ უზრუნველყოფს.

81,8% ოჯახი ნაწილობრივ უზრუნველყოფს ბავშვს ძირითადი საჭიროებებით, კერძოდ: სკოლაში წასვლის წინ სადილით, მედიკამენტებით (საჭიროების შემთხვევაში), სეზონური ტანსაცმელით, სამედიცინო დაწესებულებაში დროულად ვიზიტით.

18,2% ოჯახი უზრუნველყოფს ბავშვს პირადი საჭირო ნივთებით, პირველადი მოხმარების ჰიგიენური საშუალებებით, კლასგარეშე აქტივობებში ჩართულობით (სპორტი, ხელოვნება, მუსიკა და ა.შ.), ხოლო დანარჩენი ოჯახი ნაწილობრივ ან ვერ ახერხებს.

შშმ ბავშვების ძირითად საჭიროებად დასახელდა: ფინანსური დახმარება, საკვებით, ტანსაცმლით, სათამაშოებით, ჰიგიენური საშუალებებით და პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფა, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნა (ადგილზე), ადაპტირებული ტრანსპორტი, კლასგარეშე აქტივობებში ჩართულობა.

ყველა მათგანს მიუმართავს მუნიციპალიტეტის მერიისთვის დახმარებისთვის - დადებითი შედეგით. საჭიროების შემთხვევაში იციან რომელ მუნიციპალურ სამსახურს უნდა მიმართონ.

3. ღარიბი ბავშვიანი ოჯახები

63,7% ბავშვს ყავს ორივე მშობელი, 36,4% - მხოლოდ დედა. 63,7% ოჯახი იმყოფება კანონიერ ქორწინებაში, 9,1% - დაუოჯახებელი, 18,2% - განქორწინებული, 9,1% ქვრივი. 9,1% არის უმაღლესი განათლებით, 45,5% - საშუალო განათლებით, 36,4% - დაწყებითი განათლებით, 9,1% - დაწყებითი განათლების არმქონე. მანძილი სახლიდან სხვადასხვა დაწესებულებამდე (სკოლა, ბაღი, სამედიცინო პუნქტი ...) მერყეობს 1 კმ-დან 5 კმ-მდე ან მეტი. სოფლად მცხოვრები 8 ოჯახი სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით. 45,5% ოჯახი ცხოვრებს კანონიერ საკუთრებაში, 18,2% - საკუთრებაში, თუმცა არ აქვს რეგისტრირებული, 9,1% - ცხოვრობს ახლო ნათესავთან. 72,8% ოჯახი იყენებს ბუნებრივ აირს და საშეშე მერქანს, დანარჩენი 27,3% ოჯახი საშეშე მერქანს. 54,6% ოჯახს მიეწოდება სასმელი წყალი

საცხოვრებელ ფართში, ხოლო 45,5% ოჯახს ეზოში. სველი წერტილები 91% ოჯახს აქვს ეზოში, 9,1% საცხოვრებელ ფართში. 27,3% ოჯახისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი დანარჩენისთვის არა. 18,2% ოჯახს არ აქვს ტელევიზორი, 72,8% ოჯახს არ აქვს სარეცხი მანქანა, 54,6% ოჯახს არ აქვს კომპიუტერი. ბავშვებს ძირითადი საჭიროებებით უზრუნველყოფს მეტწილად 18,2% ოჯახი, ნაწილობრივ 63,7%, ხოლო 18,2% ოჯახი ვერა. 81,9% ოჯახი ვერ ახერხებს ბავშვის სრულფასოვნად კვებას, ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას. მათი ძირითადი შემოსავალი არის სოციალური შემწეობა.

ძირითად საჭიროებად ასახელებენ: ფულად დახმარებას, საკვებით, ჰიგიენური საშუალებებით, ბავშვის განმავითარებელი სათამაშოებით, ტანსაცმლის, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთებითა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით უზრუნველყოფას.

54,6% მათგანს მიუმართავს მუნიციპალიტეტის მერიისთვის დახმარებისთვის - დადებითი შედეგით. საჭიროების შემთხვევაში იციან რომელ მუნიციპალურ სამსახურს უნდა მიმართონ.

4. მარტოხელა მშობლები

გამოკითხულ რესპოდენტთა შორის 91% მარტოხელა დედაა, ხოლო 9% მარტოხელა მამა. 54,6% - ქვრივია, 27,3% -განქორწინებული. 9,1% აქვს პროფესიული განათლება, 54,6% - საშუალო განათლება, 18,2% - დაწყებითი განათლება და 18,2% დაწყებითი განათლების არმქონე. 9,1% მარტოხელა მშობელი შშმ პირია. 63,7% ოჯახი სარგებლობს როგორც ბუნებრივი აირით ისე საშეშე მერქნით, ხოლო - 36,4% მხოლოდ საშეშე მერქანს იყენებს. 18,2% არ მიეწოდება სასმელი წყალი. სველი წერტილები 45,5% საცხოვრებელ ფართში აქვს განთავსებული, 45,5% - ეზოში, 9,1% - არ აქვს. 72,8% წვდომა აქვს ინტერნეტთან. 9,1% არ აქვს ტელევიზორი, 36,4% სარეცხი მანქანა. 45,5% ოჯახი ნაწილობრივ ან საერთოდ ვერ აკმაყოფილებს ბავშვის ძირითად საჭიროებებს.

80% - მდე მარტოხელა მშობელი ძირითად საჭიროებად ასახელებს ფულად დახმარებას, ბავშვების განათლებაში ხელშეწყობას, საკვები პროდუქტებით, ტანსაცმლის, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთებითა და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

63,7% მიუმართავს მუნიციპალიტეტის მერიისთვის დახმარებისთვის - დადებითი შედეგით. საჭიროების შემთხვევაში იციან რომელ მუნიციპალურ სამსახურს უნდა მიმართონ.

5. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები

81,9% ოჯახი არის კანონიერ ქორწინებაში დანარჩენი არა. 18,2% გამოკითხულს აქვს საშუალო განათლება, 72,8% - დაწყებითი, 9,1% - დაწყებითი განათლების არმქონე. მანძილი სახლიდან სხვადასხვა დაწესებულებამდე სკოლა და ბაღი 1-3 კმ-მდე, სამედიცინო პუნქტი და

სოციალური მომსახურების სააგენტო- 5 კმ. მეტი. 27,3% ოჯახი სარგებლობს მუნიციპალური ტრანსპორტით. 54,6% ოჯახს საცხოვრებელი ფართი აქვს ოფიციალურად საკუთრებაში, 27,3% -საკუთარი, მაგრამ არ აქვთ რეგისტრირებული. 18,2% არ გააჩნია საკუთარი საცხოვრებელი ფართი (ცხოვრობს ნათესავებთან). 63,7% ოჯახი გათბობის სეზონზე გასათბობად იყენებს ბუნებრივ აირს და საშემე მერქანს, 36,4% მხოლოდ საშემე მერქანს. 91% ოჯახს საცხოვრებელ ფართში აქვს სასმელი წყალი, 9,1% -არა. 9,1% ოჯახს აქვს საცხოვრებელ ფართში სველი წერტილი, 54,6% -ეზოში დანარჩენს არ აქვს. 72,8% ოჯახისათვის ხელმისაწვდომია ინტერნეტი, 27,3% -ოჯახისთვის არა. 18,2% ოჯახს არ აქვს ტელევიზორი, 18,2% ოჯახს არ აქვს მაცივარი, 72,8% ოჯახს არ აქვს სარეცხი მანქანა, 36,4% ოჯახს არ აქვს ოჯახის ყველა წევრისთვის საწოლები. მათი ძირითად შემოსავალს სოციალური შემწეობა წარმოადგენს.

ძირითად საჭიროებად ასახელებენ: ფინანსური დახმარებით, საკვებით, ჰიგიენური საშუალებებით, ტანსამოსით, სათამაშოებით, სასწავლო პროცესში დახმარებით, პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთებით დახმარებას, საცხოვრებელი ფართის გაუმჯობესებით უზრუნველყოფას.

ყველა მათგანს მიუმართავს მუნიციპალიტეტის მერიისთვის დახმარებისთვის - დადებითი შედეგით. საჭიროების შემთხვევაში იციან რომელ მუნიციპალურ სამსახურს უნდა მიმართონ.

ზემოხსენებული მონაცემების დამუშავების შემდეგ, საჭიროებათა პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით გაიმართა 6 შეხვედრა ფოკუს-ჯგუფებთან (თითო ჯგუფში 6-7 ადამიანი), რომელშიც მონაწილეობდნენ სამიზნე ჯგუფების წარმომადგენლები (ცალ-ცალკე) და სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები (ა/ო „ქალი და სამყარო“, ა/ო „ენის სახლი“, ა/ო „სამოქალაქო პლათფორმა“ ა/ო „ნეკერი, სოციალური მომსახურების სააგენტო, ზრუნვის სააგენტო, საგანმანათლებლო რესურსცენტრი, სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება). შეხვედრისას ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები გაეცნენ კვლევის მიგნებებს და გამოკვეთეს პრიორიტეტული მიმართულებები:

- ✓ ფინანსური დახმარება;
- ✓ საკვებით უზრუნველყოფა;
- ✓ ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა;
- ✓ სასკოლო ნივთებითა და სეზონური ტანსაცმლით უზრუნველყოფა;
- ✓ სათამაშოებით და განსავითარებელი წიგნებით უზრუნველყოფა;
- ✓ საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
- ✓ საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენა;

სამიზნე ჯგუფების მიხედვით პრიორიტეტული მიმართულება გადანაწილდა შემდეგი სახით:

1. სამიზნე ჯგუფი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალი

პრიორიტეტული მიმართულებები:

1. კვება და ჰიგიენური საშუალებები;
 2. ფინანსური დახმარება;
 3. მკურნალობით უზრუნველყოფა;
 4. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
2. სამიზნე ჯგუფი - **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი**
პრიორიტეტული მიმართულება:
1. კვება და ჰიგიენური საშუალებები;
 2. ფინანსური დახმარება;
 3. სარიაბილიტაციო ცენტრით უზრუნველყოფა (ადგილზე);
 4. ბავშვების ღონისძიებებში ჩართვა;
 5. გლუკომეტრის ტესტის ჩხირებით უზრუნველყოფა;
 6. სათამაშოებით და განმავითარებელი წიგნებით უზრუნველყოფა;
 7. სპეციალური ინვეტარით უზრუნველყოფა;
 8. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
3. სამიზნე ჯგუფი - **მარტოხელა მშობელი**
პრიორიტეტული მიმართულებები:
1. ფინანსური დახმარება;
 2. საკვებით და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა;
 3. განათლებაში ხელშეწყობა;
 4. სასკოლო ნივთებითა და სეზონური ტანსაცმლით უზრუნველყოფა;
 5. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
4. სამიზნე ჯგუფი - **ღარიბი ბავშვიანი ოჯახი**
პრიორიტეტული მიმართულებები:
1. ფულადი დახმარება;
 2. საკვები და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა;
 3. სათამაშოებითა და განმავითარებელი წიგნებით უზრუნველყოფა;
 4. სასკოლო ნივთებითა და სეზონური ტანსაცმლით უზრუნველყოფა;
 5. საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა;
 6. ოჯახში ბავშვის სივრცის მოწყობა;
 7. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;
5. სამიზნე ჯგუფი - **სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახი**
პრიორიტეტული მიმართულებები:
1. ფულადი დახმარება;
 2. საკვები და ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა;
 3. განათლებაში ხელშეწყობა;
 4. სასკოლო ნივთებისა და სეზონური ტანსაცმლით უზრუნველყოფა;
 5. საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა;
 6. ოჯახში ბავშვის სივრცის მოწყობა;

7. საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება;

საჭიროებათა კვლევის საჯარო განხილვა

საჭიროებათა კვლევის შედეგების განხილვა დაგეგმილია ყველა დაინტერესებულ მხარეებთან, კერძო სამიზნე ჯგუფების, სამოქალაქო საზოგადოების, სოციალური სფეროს მოღვაწე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. მათ დეტალურად მიეწოდებათ ინფორმაცია საჭიროებათა კვლევის ფარგლებში ჩატარებულ, სამუშაო ჯგუფის მიერ გაწეული სამუშაოებისა და მიღებული შედეგების შესახებ. მოქალაქეთა დასწრების ხელშეწყობის მიზნით განხილვის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება სოციალური მედიის საშუალებით, ასევე, მერის წარმომადგენლების მეშვეობით (იხეჳდება საინფორმაციო ბროშურები).

დანართები

- კითხვარის ნიმუშები;
- კვლევაში რესპოდენტების სახით მონაწილე საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების სია;
- შედეგების შემაჯამებელი ცხრილი;

ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს კონსტიტუცია
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36;>
2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0;>
3. კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1399901?publication=0;>
4. ადგილობრივი თვითმართელობის კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429?publication=68;>
5. ბავშვის უფლებათა კოდექსი
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=4;>
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=1;>
7. კანონი სოციალური დახმარების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/23098?publication=16;>
8. კანონი სოციალური მუშაობის შესახებ
<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4231958?publication=7;>
9. კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3;>
10. კანონი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3310237?publication=13;>
11. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=22;>
12. საქართველოს მთავრობის დადგენილება მრავალშვილიანი სოციალური დაცვის უზრუნველყოფის წესისა და პირობების განსაზღვრის თაობაზე
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4356707?publication=0;>

კითხვარის ნიმუში

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია

ანკეტა #

ინტერვიუს ჩატარების თარიღი:

ინტერვიუს დაწყების დრო:

ინტერვიუს დასრულების დრო:

ინტერვიუერი: სახელი, გვარი

მოკლე ინსტრუქცია ინტერვიუერისთვის

მოცემული კითხვარის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა პრობლემების, მათი გამოძვევი მიზეზების, საჭიროებებისა და მოლოდინების გამოვლენა, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება მოსახლეობის საჭიროებებზე უკეთ მორგებული სოციალური პროგრამების შემუშავება.

გამოკითხვის საფეხურები:

- პირველ რიგში, გთხოვთ, გააცნოთ რესპონდენტს კითხვარის ჩატარების მიზანი, მისი შედეგი/დადებითი გავლენა, როგორც ცალკეულ ინდივიდზე ასევე, მთელ მუნიციპალიტეტზე.
- თუკი გამოკითხვა ტარდება იმ შინამეურნეობაში, სადაც უკვე ჩატარდა გამოკითხვა ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების საჭიროებათა კვლევის ფარგლებში, გამოტოვეთ უკვე შევსებული კითხვები.
- რესპონდენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, იმის შესახებ, რომ გამოკითხვა წარიმართება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად, მონაცემები დამუშავდება მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ, საჭირო მომსახურების დაგეგმვის მიზნით.
- რესპონდენტს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ აღნიშნული პროცესი წარიმართება კონფიდენციალურობის სრული დაცვით, გამოკითხვის დროს მიღებული ინფორმაცია მიეწოდებათ მხოლოდ იმ პირებს, ვინც ჩართულია სოციალურად მოწყვლადი პირებისთვის პროგრამების შემუშავებაში, ან იმ პირებს, რომლებსაც ესაჭიროებათ ამ ინფორმაციის გათვალისწინება პროგრამებზე მუშაობის დროს.

გამოკითხვის მიზნებისთვის რესპონდენტი არის:

- შინამეურნეობის ზრდასრული წევრი;

- ბავშვის დედა/მამა ან კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც ზრუნავს ბავშვზე ან სოციალურად მოწყვლად ზრდასრულ პირზე და კარგად არის ინფორმირებული მისი საჭიროებების შესახებ.

კითხვარი დაყოფილია ექვს ნაწილად:

1. პირველ, მეორე და მეშვიდე ნაწილს ავსებს ყველა შინამეურნეობა;
2. მესამე ნაწილი ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის წევრებს არ აქვთ მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი;
3. მეოთხე და მეხუთე ნაწილებს ავსებენ მხოლოდ ბავშვიანი ოჯახები;
4. მეექვსე ნაწილი ივსება შინამეურნეობაში მცხოვრები თითოეული სოციალურად მოწყვლადი პირის მიერ.

ვადასტურებ, რომ გავეცანი ინსტრუქციას, და ვმოქმედებ მის შესაბამისად

ინტერვიუერის ხელმოწერა _____

რესპონდენტი ადასტურებს თანხმობას გამოკითხვაში მონაწილეობაზე ხელმოწერით

რესპონდენტის ხელმოწერა _____

გთხოვთ, ქვემოთ მოცემულ ცხრილში მონიშნეთ მოწყვლადი ჯგუფი, რომელსაც თქვენ ან/და თქვენი ოჯახის წევრები მიეკუთვნებით. შეგიძლიათ მონიშნოთ რამდენიმე პასუხი.

თუ თქვენი ოჯახის ერთზე მეტი წევრი მიეკუთვნება რომელიმე ქვემოჩამოთვლილ მოწყვლად ჯგუფს, მიუთითეთ მათი რიცხვი შესაბამისი პასუხის გასწვრივ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები	განვითარების სირთულის მქონე ბავშვები
მრავალშვილიანი ოჯახები (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი)	რეინტეგრირებული ბავშვები/ობლები
მარტოხელა მშობლები მცირეწლოვანი შვილებით	სტუდენტები, რომელთა ერთი ან ორივე მშობელი გარდაიცვალა, ან ერთ-ერთ მშობელს ჩამოერთვა მშობლის უფლება
გაჭირვებაში მყოფი შინამეურნეობა (მაგ., სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული პირები, რომლებსაც ჰყავთ ოჯახი ან ნათესავები, ოჯახები მუდმივი საცხოვრებლის გარეშე და ა.შ.)	65 წელს გადაცილებული პირები
შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირები	მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ზრდასრული პირები
შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირები	შეზღუდული ფუნქციური შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირები

ქრონიკული დაავადების მქონე ზრდასრული პირები	სერიოზული დამოკიდებულების რისკის ქვეშ მყოფი ზრდასრული პირები
იმულებით გადაადგილებული პირები	ვეტერანები
შორეულ დასახლებაში (მათ შორის მაღალმთიან დასახლებაში) მცხოვრები პირები	ტერიტორიულად მოწყვეტილ დასახლებაში მცხოვრები პირები
უმცირესობის წარმომადგენლები	უცხოელები/მიგრანტები
ძალადობის მსხვერპლები	ლტოლვილები/თავშესაფრის მაძიებლები
არაფორმალურად, არასტაბილურად დასაქმებულები	ხანგრძლივად უმუშევრები

ტერიტორიული ერთეული – გთხოვთ, მიუთითეთ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება.

გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული:

ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული:

ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული:

ნაწილი 1. ზოგადი ინფორმაცია / ივსება ყველა შინამეურნეობის მიერ

გვაწვდის ზოგად, ფაქტობრივ ინფორმაციას შინამეურნეობის/რესპონდენტის შესახებ. საწყის ეტაპზე ხელს შეუწყობს იმის გამოვლენას, თუ რომელ მოწყვლად ჯგუფს/ჯგუფებს მიეკუთვნება რესპონდენტი. გთხოვთ, გამოტოვოთ შეუსაბამო კითხვები/ვარიანტები (1.1.-1.7. თუ ოჯახში ბავშვები არ არიან).

1.1. ბავშვზე/ბავშვებზე ზრუნავს: გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- ორივე მშობელი
- მარტოხელა მშობელი (დედა)
- მარტოხელა მშობელი (მამა)
- ბებია/ბაბუა
- უფროსი და/მმა
- ბავშვის/ბავშვების ოჯახის ნათესავი
- ბავშვის/ბავშვების ოჯახის მეგობარი
- სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ) _____

1.2. არის თუ არა ბავშვზე ძირითადად მზრუნველი მისი კანონიერი წარმომადგენელი? გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

1.3. მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ოჯახური მდგომარეობა. გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დაოჯახებული
- დაუოჯახებელი
- განქორწინებული
- ქვრივი

1.4. მშობლის/ძირითადი აღმზრდელის განათლების დონე. გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი, კითხვა ეხება მხოლოდ რესპონდენტს.

- უმაღლესი განათლება
- პროფესიული განათლება
- საშუალო განათლება
- დაწყებითი განათლება
- დაწყებითი განათლების არმქონე

1.5. მეორე მშობლის/ძირითადი აღმზრდელის განათლების დონე: გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი. ივსება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს ჰყავს ორივე მშობელი/მეორე აღმზრდელი.

- უმაღლესი განათლება
- პროფესიული განათლება
- საშუალო განათლება
- დაწყებითი განათლება
- დაწყებითი განათლების არმქონე

1.6. აქვს თუ არა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე სტატუსი? მიუთითეთ პასუხი მარჯვენა სვეტში შესაბამისი ვარიანტის არჩევით.

სტატუსი	დიახ	არა
1.6.1. სოციალურად დაუცველი/სიღარიბის ზღვარს მიღმა		
1.6.2. სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ		
1.6.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი		
1.6.4. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირი		
1.6.5. იძულებით გადაადგილებული პირი		
1.6.6. მრავალშვილიანი ოჯახი (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი)		
1.6.7. სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ) _____		

1.7. თუ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს აქვს შშმ პირის სტატუსი, მიუთითეთ შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხი (ჯგუფი):

- I ჯგუფი
- II ჯგუფი
- III ჯგუფი

1.8. მოწყვლად ზრდასრულ პირზე ზრუნავს: გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

- კანონიერი წარმომადგენელი: გთხოვთ, მიუთითეთ ურთიერთობა (მაგ., მშობელი/და-
ძმა/მეუღლე/პარტნიორი/მეზობელი) _____;
- არაფორმალური მზრუნველი: გთხოვთ, მიუთითეთ ურთიერთობა (მაგ., მშობელი/და-
ძმა/მეუღლე/პარტნიორი/მეზობელი) _____;
- არავინ

1.9. კანონიერი წარმომადგენლის/არაფორმალური მზრუნველის განათლების დონე: გთხოვთ მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

- უმაღლესი განათლება
- პროფესიული განათლება
- საშუალო განათლება
- დაწყებითი განათლება
- დაწყებითი განათლების არმქონე

1.10. აქვს თუ არა კანონიერ წარმომადგენელს/არაფორმალურ მზრუნველს ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე სტატუსი? მიუთითეთ პასუხი მარჯვენა სვეტში შესაბამისი ვარიანტის არჩევით.

სტატუსი	დიახ	არა
1.10.1. სოციალურად დაუცველი/სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი პირი		
1.10.2. სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირი		
1.10.3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი		
1.10.4. მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები პირი		
1.10.5. იძულებით გადაადგილებული პირი		
1.10.6. მრავალშვილიანი ოჯახი (4 და მეტი არასრულწლოვანი შვილი)		
1.10.7. სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ) _____		

1.11. თუ კანონიერ წარმომადგენელს/არაფორმალურ მზრუნველს აქვს შშმ პირის სტატუსი, მიუთითეთ შეზღუდული შესაძლებლობის ხარისხი (ჯგუფი):

- I ჯგუფი
- II ჯგუფი
- III ჯგუფი

1.12. სოციალურად დაუცველის სტატუსის შემთხვევაში, მიუთითეთ მინიჭებულ ქულათა ოდენობა: გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

- 30 001-ზე ნაკლები;
- 30 001 – 57 000;
- 57 001 – 60 000;
- 60 001 – 65 000;
- 65 001 – 120 001;
- ოჯახს არ აქვს მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი

1.13. მანძილი სახლიდან სხვადასხვა დაწესებულებამდე: მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი მარჯვენა სვეტში

დაწესებულება:	შეუსაბამო	1 კმ ან ნაკლები	1-3 კმ	3-5 კმ	5 კმ ან მეტი
1.13.1. საბავშვო ბაღი (სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება)					
1.13.2. სკოლა (ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება)					
1.13.3. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება					
1.13.4. პროფესიული					

საგანმანათლებლო დაწესებულება					
1.13.5. ფსიქო-სოციალური სერვისები, მაგ: დღის ცენტრი, რეაბილიტაციის პროგრამა, განვითარების ცენტრი (გთხოვთ, მიუთითეთ)					
1.13.6. მუნიციპალური ოფისი					
1.13.7. სოციალური მომსახურების სააგენტო; სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო					
1.13.8. საზოგადოებრივი ცენტრი					
1.13.9. აქტიური ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია (გთხოვთ, დააკონკრეტეთ)					

1.14. ტრანსპორტირების საჭიროება სახლიდან სხვადასხვა დაწესებულებამდე: მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი მარჯვენა სვეტში

დაწესებულება:	არ არის საჭიროე ბა	საჭიროება დაკმაყოფილებუ ლია ოჯახის მიერ	საჭიროება დაკმაყოფილებულია მუნიციპალიტეტის/სახელმწ იფოს მიერ	საჭიროება დაკმაყოფილებუ ლი არ არის
1.14.1. საბავშვო ბაღი (სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება)				
1.14.2. სკოლა (ზოგადსაგანმანათლე ბლო დაწესებულება)				
1.14.3. პირველადი ჯანდაცვის დაწესებულება				
1.14.4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება				
1.14.5. ფსიქო- სოციალური სერვისები, მაგ., დღის ცენტრი, რეაბილიტაციის პროგრამა, განვითარების ცენტრი (გთხოვთ, მიუთითოთ) _____				
1.14.6. მუნიციპალური ოფისი				
1.14.7. სოციალური მომსახურების სააგენტო; სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის				

მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო; დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო				
1.14.8. საზოგადოებრივი ცენტრი				
1.14.9. აქტიური ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია (გთხოვთ, დააკონკრეტეთ)				

ნაწილი 2. ოჯახური და საცხოვრებელი პირობების შეფასება

აღნიშნული ნაწილი საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ რესპონდენტის ოჯახური და საცხოვრებელი პირობები და მისი საჭიროებები, სპეციალურად შემუშავებულ დახურულ კითხვებზე დაყრდნობით, ივსება ყველა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლის მიერ.

2.1. რამდენი წევრია თქვენს შინამეურნეობაში? გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 1
- 2
- 3
- 4
- 5
- სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ) _____

2.2. რამდენი და რა ასაკის წევრია თქვენს შინამეურნეობაში? გთხოვთ, მიუთითეთ რაოდენობა შესაბამის უჯრებში

	ქალი	მამაკაცი
--	------	----------

2 წლამდე		
2-5 წლის		
6-17 წლის		
18-64 წლის		
65-89 წლის		
90 წელს გადაცილებული		

2.3. რამდენი შშმ პირია თქვენს შინამეურნეობაში (მათ შორის ბავშვი) და რამდენი მათგანია სოციალური დახმარების მიმღები (შშმ პირის პენსია)? გთხოვთ, მიუთითეთ შესაბამისი რიცხვი მარჯვენა გრაფაში.

	რაოდენობა	მათ შორის სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა (შშმ პირის პენსია)
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული პირი		
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი		

2.4. შინამეურნეობაში ასაკით პენსიონერთა რაოდენობა: გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- არცერთი
- 1

- 2
- სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ) _____

2.5. ცხოვრობს თუ არა შინამეურნეობის რომელიმე წევრი განცალკევებით? გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

2.6. თუკი წინა კითხვის პასუხი დადებითია, რამდენი წევრია ოჯახიდან წასული/განცალკევებული და რა მიზეზით? გთხოვთ, მიუთითეთ რაოდენობა და მიზეზი შესაბამის გრაფებში.

კატეგორია	რაოდენობა	წასვლის/განცალკევების ძირითადი მიზეზი (შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მითითება)
2.6.1. ზრდასრული, რომელიც განცალკევებულია/წასულია შინამეურნეობიდან		<ul style="list-style-type: none"> ○ შრომითი მიგრაცია ○ სამედიცინო საჭიროება ○ განათლების მიღება ○ ბავშვზე ზრუნვის საჭიროება, რომელიც ვერ უზრუნველყო ოჯახმა ○ ზრდასრულ წევრზე ზრუნვის საჭიროება, რომელიც ვერ უზრუნველყო ოჯახმა ○ სხვა (გთხოვთ მიუთითეთ) _____
2.6.2. არასრულწლოვანი, რომელიც განცალკევებულია/წასულია შინამეურნეობიდან		<ul style="list-style-type: none"> ○ ბავშვი მოთავსებულია სახელმწიფო/მინდობით აღზრდაში ○ ბავშვი ცხოვრობს ახლო ნათესავებთან/ოჯახის მეგობრებთან ○ სხვა (გთხოვთ მიუთითეთ) _____

2.7. სახლის/საკუთრების ტიპი: გთხოვთ, მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი.

- შინამეურნეობის წევრები ცხოვრობენ საკუთარ საკუთრებაში, რომელიც რეგისტრირებულია

- შინამეურნეობის წევრები ცხოვრობენ საკუთარ საკუთრებაში, რომელიც არ არის რეგისტრირებული
- შინამეურნეობის წევრები ცხოვრობენ ნაქირავებ ბინაში და იხდიან ქირას
- შინამეურნეობის წევრები ცხოვრობენ ახლო ნათესავების/ ოჯახის მეგობრების საკუთრებაში უფასოდ
- ოჯახის წევრები ცხოვრობენ სახელმწიფო საკუთრებაში
- სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ) _____

2.8. გთხოვთ, მიუთითეთ საცხოვრებლად გამოყენებული ფართის სავარაუდო ოდენობა: მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 16 კვ.მ-ზე ნაკლები
- 16-40 კვ.მ
- 40-80 კვ.მ
- 80-120 კვ.მ
- 120 კვ.მ-ზე მეტი

2.9. რას იყენებთ გათბობის საშუალებად? შეგიძლიათ მიუთითოთ რამდენიმე პასუხი

- ბუნებრივი აირი
- შეშა
- ელ. ენერგია
- ვერ ვიყენებთ ვერცერთ ზემოჩამოთვლილს
- სხვა (გთხოვთ, მიუთითეთ)

2.10. არის თუ არა სასმელი წყალი მიყვანილი საცხოვრებელ ფართში/საკარმიდამო ნაკვეთში? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

2.11. სად არის მოწყობილი სველი წერტილი (აბაზანა/საპირფარეშო) ? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- საცხოვრებელ ფართში
- ეზოში
- არ არის

2.12. რამდენია ელექტონერგიის საშუალო თვიური ხარჯი ოჯახისთვის? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 100 კვტ-ზე მეტი
- 100 კვტ ან ნაკლები

2.13. იღებთ თუ არა ფულად დახმარებას (სუბსიდიას) კომუნალურ ხარჯებზე? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

2.14. ხელმისაწვდომია თუ არა თქვენს ოჯახში ინტერნეტი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- დიახ
- არა

2.15. გაქვთ თუ არა შინამეურნეობაში ქვემოთ ჩამოთვლილი ნივთები? გთხოვთ, თითოეულის გასწვრივ მონიშნოთ შესაბამისი პასუხი

<u>ნივთი:</u>	<u>დიახ</u>	<u>არა</u>
2.15.1. ტელევიზორი		
2.15.2. მობილური		

2.15.3. მაცივარი		
2.15.4. სარეცხი მანქანა		
2.15.5. კომპიუტერი/ლექტოპი		
2.15.6. საწოლი (ოჯახის ყველა წევრისთვის)		
2.15.7. სამუშაო მაგიდა/სკამი (ოჯახის ყველა წევრისთვის)		

2.16. შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავალი გასულ წელს და შემოსავლის ძირითადი წყაროები: შესაძლებელია რამდენიმე პასუხის მონიშვნა, გთხოვთ, მიუთითეთ შემოსავლის ოდენობა

- დასაქმების შედეგად მიღებული ხელფასი _____
- სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი _____
- ბიზნესის/ვაჭრობის შედეგად მიღებული შემოსავალი _____
- პენსია _____
- სოციალური შემწეობა _____
- ფულადი გზავნილი _____
- სხვა (გთხოვთ, დააკონკრეტეთ წყარო და ოდენობა)

2.17. ბავშვის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების სკალა - თვითშეფასება: თქვენი შეფასებით, რამდენად ახერხებთ ქვემოჩამოთვლილი საჭიროებების დაკმაყოფილებას? გთხოვთ, თითოეული გრაფის გასწვრივ მონიშნეთ შესაბამისი პასუხი, შესაძლებელია თითოეულ ბავშვზე სხვადასხვა პასუხის მითითება.

ბავშვის/ბავშვების საჭიროება	არა/იშვიათად	ზოგჯერ/მეტწილად	დიახ/ყოველთვის
-----------------------------	--------------	-----------------	----------------

<p>2.17.1. ბავშვის/ბავშვების სრულფასოვანი კვების რაციონით უზრუნველყოფა (მთავარი კომპონენტებია ხილი და ბოსტნეული, პური და მარცვლეული, რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ზღვის პროდუქტები)</p>			
<p>2.17.2. ბავშვის/ბავშვების საუზმის უზრუნველყოფა სკოლაში წასვლამდე</p>			
<p>2.17.3. ბავშვის/ბავშვების გეგმიური აცრების უზრუნველყოფა, იმუნიზაციის კალენდრის მიხედვით</p>			
<p>2.17.4. პრევენციული/აუცილებელი სამედიცინო დახმარებიდან უზრუნველყოფა ბავშვისთვის/ბავშვებისთვის</p>			
<p>2.17.5. ბავშვის/ბავშვების მედიკამენტებით უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში</p>			
<p>2.17.6. ბავშვის/ბავშვების პირადი საჭიროების ნივთებით უზრუნველყოფა, მაგ:საწოლი, საწერი მაგიდა, სკამი და ა.შ.</p>			
<p>2.17.7. ბავშვის/ბავშვების სეზონური ტანსაცმლით უზრუნველყოფა</p>			

2.17.8. ბავშვის/ ბავშვების პირველადი მოხმარების/ ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა			
2.17.9. თუ ოჯახში მოზარდი გოგოა, მისი უზრუნველყოფა შესაბამისი ჰიგიენური საშუალებებით			
2.17.10. ბავშვის/ ბავშვების უზრუნველყოფა ასაკის შესაბამისი სათამაშოებით			
2.17.11. ბავშვის/ ბავშვების უზრუნველყოფა სასკოლო ნივთებით			
2.17.12. ბავშვის/ ბავშვების უზრუნველყოფა ინტერნეტითა და კომპიუტერით/ ლეპტოპით დისტანციური სწავლებისას			
2.17.13. ბავშვის / ბავშვების უზრუნველყოფა მისი კლასგარეშე აქტივობებში ჩართვით (მაგ: სპორტი, ხელოვნება და ა.შ.)			
2.17.14. ბავშვის/ ბავშვების თანატოლებთან ურთიერთობის ხელშეწყობა			
2.17.15. ბავშვთან/ ბავშვებთან თამაში			
2.17.16. ბავშვის/ ბავშვების მოსაზრებებისა და			

წუხილის მოსმენა და გათვალისწინება			
--------------------------------------	--	--	--

2.18. მოწყვლადი ზრდასრული პირის ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების სკალა - თვითშეფასება: თქვენი შეფასებით, რამდენად ახერხებთ მოწყვლადი ზრდასრული პირის ქვემოჩამოთვლილი საჭიროებების დაკმაყოფილებას? გთხოვთ, თითოეული გრაფის გასწვრივ მონიშნეთ შესაბამისი პასუხი.

მოწყვლადი ზრდასრული პირის საჭიროებები	არა/იშვიათად	ზოგჯერ/მეტწილად	დიახ/ყოველთვის
2.18.1. სრულფასოვანი კვების რაციონით უზრუნველყოფა (მთავარი კომპონენტებია ხილი და ბოსტნეული, პური და მარცვლეული, რძე და რძის პროდუქტები, ხორცი და ზღვის პროდუქტები)			
2.18.2. დღეში 3-5-ჯერ კვების უზრუნველყოფა			
2.18.3. გეგმიური აცრების უზრუნველყოფა, იმუნიზაციის კალენდრის მიხედვით			
2.18.4. პრევენციული/აუცილებელი სამედიცინო დახმარებიდან უზრუნველყოფა			
2.18.5. მედიკამენტებით უზრუნველყოფა საჭიროების შემთხვევაში			
2.18.6. პირადი საჭიროების ნივთებით უზრუნველყოფა, მაგ:საწოლი, საწერი მაგიდა, სკამი და ა.შ.			

2.18.7. სეზონური, ამინდის შესაბამისი ტანსაცმლით უზრუნველყოფა			
2.18.8. პირველადი მოხმარების/ჰიგიენური საშუალებებით უზრუნველყოფა			
2.18.9. თუ ოჯახში მოწყვლადი ზრდასრული ქალია, მისი უზრუნველყოფა შესაბამისი ჰიგიენური საშუალებებით			
2.18.10. ინტერნეტსა და კომპიუტერზე/ლექტოპზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა			
2.18.11. მუნიციპალურ/ადგილობრივ აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობა (სპორტი, ხელოვნება და ა.შ.)			
2.18.12. გარემომცოფებთან/თემთან კომუნიკაციის უზრუნველყოფა			
2.18.13. მოწყვლადი ზრდასრული ოჯახის წევრის მოსაზრებებისა და წუხილის მოსმენა და გათვალისწინება			

ნ აწილი 3. შინამეურნეობის შემოსავალი

ივსება იმ შემთხვევაში, თუ ოჯახს არ აქვს მინიჭებული სოციალურად დაუცველის სტატუსი. იძლევა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების საშუალებას; გვადლევს ინფორმაციას, ბავშვის საჭიროებებზე, რომლის ოჯახიც არ არის სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე, მაგრამ მათი შემოსავლით ვერ კმაყოფილდება ბავშვის ელემენტარული საჭიროებები.

3.1. რამდენია ოჯახის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი? მიუთითეთ მხოლოდ ერთი პასუხი

- 230 ლარზე ნაკლები
- 230-500 ლარამდე
- 500-1000 ლარი

- 1000 ლარი ან მეტი

